*დანართი №2*

განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

2-5. 12. 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

05.02.23

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 6

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 15

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 15

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 39

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 52

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 59

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 78

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205224700 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხვთისო მამისიმედიშვილი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართელო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ხუბულია, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველო |

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 |
|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ქართული ფილოლოგია<br>Georgian Philology | აფხაზური ფილოლოგია<br>Abkhazian Philology |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of Georgian Philology | აფხაზური ფილოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of Abkhasian Philology |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა<br>Literature and Linguistics | 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა<br>Literature and Linguistics |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | - | - |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 ECTS | 240 ECTS |

[1] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

| | | |
|---|---|---|
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>2012 წლის 28 ნოემბრის N 747 გადაწყვეტილება | აკრედიტებული<br>2012 წლის 28 ნოემბრის N 740 გადაწყვეტილება |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა. ორივე პროგრამა ფუნქციონირებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალი წელია, აკრედიტებულ რეჟიმში კი 2012 წლიდან (ქართული ფილოლოგია - 2012 წლის 28 ნოემბრის N 747 ოქმის გადაწყვეტილებით. აფხაზური ფილოლოგია- 2012 წლის 28 ნოემბრის N 740 ოქმის გადაწყვეტილებით.

ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული ქართული ფილოლოგიისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამები დაჯგუფებულია შინაარსობრივად და კონცეპტუალურად, არის ერთმანეთთან დაკავშირებული და აქვს საერთო მახასიათებლები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 7 22 0001501641 (25/11/2022) თანახმად, 2022 წლის ორ-ხუთ დეკემბერს სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი კლასტერული საბაკალავრო პროგრამების: ქართული ფილოლოგია და აფხაზური ფილოლოგია, შეფასების მიზნით შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი, ქრისტინე ჩიხლაძე, ნინო ხუბულია. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო კლასტერულად დაჯგუფებული ქართული ფილოლოგიისა და აფხაზური ფილოლოგიის საბალაკავრო პროგრამების მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამების თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროგრამების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამების სტუდენტებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან.

დასასრულს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან;

---

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

მესამე სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები

  - რეკომენდებულია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების კურიკულუმის რუკისა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დოკუმენტების მოდიფცირება, რათა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გახდეს უფრო მოქნილი და ეფექტიანი.
  - რეკომენდებულია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შესრულებული საბაკალავრო ნაშრომი შემოწმდეს პლაგიატის ამომცნობი პროგრამით.
  - რეკომენდებულია, სასწავლო კურსის "ქართველოლოგიის შესავალი", შინაარსი გადამუშავდეს და შეივსოს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან.
  - გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა „ქართული ფოლკლორის" სასწავლო კურსში, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგთან.
  - მოხდეს „ქართული დიალექტოლოგიის" სასწავლო კურსის შინაარსში ქართული ენის ყველა დიალექტის სწავლების ასახვა, რათა სტუდენტმა მიიღოს ქართული ენის დიალექტების შესახებ შესაბამისი ცოდნა, რომელსაც სასწავლო კურსის მიზანიც ითვალისწინებს.
  - გადამუშავდეს სალექციო მასალა „ქართული ფოლკლორის" სალექციო კურსში ისე, რომ მასში შესაბამისი ტექსტებით ქართული ზეპირსიტყვიერების ყველა ძირითადი ჟანრი იყოს წარმოდგენილი.
  - „ქართული ფოლკლორის" სილაბუსში ლექციაზე ლექტორის მიერ წაკითხულ თემატიკასთან შესაბამისობაში მოვიდეს სამუშაო ჯგუფში გამოკითხული და განხილული საკითხები.
  - რეკომენდებულად მიგვაჩნია, გაიზარდოს რეცენზენტის ქულობრივი წილი შეფასებაში, ხოლო ხელმძღვანელის ქულობრივი წილი დაყვანილი იქნას მინიმუმამდე, ან გაუქმდეს.
  - რეკომენდებულია, რომ აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, რომლებიც ქართული ფილოლოგიისა და აფხაზური ფილოლოგიის განახლებულ საბაკალავრო პროგრამებზე ახალ სასწავლო კურსებს უძღვებიან, გააძლიერონ სამეცნიერო კვლევები ამ მიმართულებებით და შექმნან სამეცნიერო პუბლიკაციები, რათა დააგროვონ სასწავლო კურსების სწავლებისთვის საჭირო გამოცდილება.

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან და ძირითადი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების სრულყოფის მიზნით, რაც მოიცავს წარმოდგენილი რუკებისა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დაზუსტება-კორექტირებას.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

  - სასურველია, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, კლასტერში გაერთიანებული ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ქართველური ენების ნაწილში გაწერილი იყოს ერთიდაიმავე დარგობრივი ტერმინოლოგიით.
  - სასურველია, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, კლასტერში შემავალი პროგრამების: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგები ქართველური ენების ნაწილში გაწერილი იყოს ერთიდაიმავე დარგობრივი ტერმინოლოგიით.
  - სასურველია, აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში შემუშავებული იყოს არჩევითი სასწავლო კურსები აფხაზური ენა B1.1 B1.2
  - სასურველია, არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განსაზღვრული საგნის: "აკადემიური წერა", სწავლება მოხდეს ელექტრონული პლატფორმის ჩართულობით, რომლითაც შესაძლებელი იქნება ნაშრომის შემოწმება პლაგიატის ამომცნობი სისტემით.
  - სასურველია, სასწავლო კურსების: "დიადი სახელები" და "დიადი წიგნები". ურთიერთმსგავსი თემები გადამუშვდეს, რათა თავიდან იყოს აცილებული თემატური და შინაარსობრივი მსგავსებანი.
  - სასურველია, რომ „ქართული ფოლკლორის" სილაბუსში არჩევით ლიტერატურას დაემატოს რჩეული ნაწარმოებები ხალხური ტექსტების შემდეგი გამოცემებიდან: ამირანიანი - ქართული ხალხური პროზა, II, თსუ გამომცემლობა (2019), ხალხური სიტყვიერება ტ. IV; ქართული ხალხური სიტყვიერების (მეგრული ტექსტები, შემდგ. კ. დანელია, აპ. ცანავა, 1991) პირველი და მეორე ტომი; აკაკი შანიძის ხევსურული პოეზია (2009); ასევე რჩეული პოეტური ტექსტები ქართული ხალხური პოეზიის თორმეტტომეულიდან.
  - სასურველია, ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში სრულფასოვნად აისახოს სასწავლო კურსში/კურსებში.
  - სასურველია, გაიზარდოს ინფორმირებულობა უნივერსიტეტში არსებული სერვისების შესახებ;
  - სასურველია, უნივერსიტეტი მეტად უწყობდეს ხელს სტუდენტების კარიერულ წინსვლას და სთავაზობდეს მეტ დასაქმებისა თუ პრაქტიკის შესაძლებლობას პროფესიის მიხედვით.
  - სასურველია, რომ გადაიხედოს პერსონალთა პირადი საქმეები და განახლდეს ბოლო პერიოდის მონაცემებით.
  - სასურველია, გაიზარდოს აფელირებული აკადემიური პერსონალის სახელფასო ანაზღაურება.

- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადოს გამოკითხვისა და კვლევის შედეგები. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად ეცნობოდნენ ისეთ დოკუმენტს როგორიცაა შრომის ბაზრის კვლევა, რათა პროგრამაში დროულად ასახონ თანამედორვე შრომის ბაზრის მოთხოვნები (მაგ., ციფრული ჰუმანიტარიის და კომპიუტერული წიგნიერების ელემენტებით პროგრამების გაძლიერება).
- სასურველია, სამომავლოდ პროგრამების განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მაქსიმალურად მიახლოების მიზნით განხორციელდეს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სიღრმისეული კვლევა.
- სასურველია, განხორციელდეს კითხვარების გადახედვა, კითხვათა ფორმულირებისა და შინაარსის დაზუსტება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გაცნობის შემდეგ უნივერსიტეტმა შეიმუშავა არგუმენტირებული პოზიცია. უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციების ძირითად ნაწილს, ხოლო ნაწილთან დაკავშირებით აქვს განსხვავებული პოზიცია. თავის მხრივ, ექსპერტებმა გულდასმით შეისწავლეს უნივერსიტეტის შეხედულებები და გადაამუშავეს დასკვნა. კერძოდ,

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შესრულებული საბაკალავრო ნაშრომი შემოწმდეს პლაგიატის ამომცნობი პროგრამით.
გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ

რეკომენდაცია:
რეკომენდებულია, სასწავლო კურსის "ქართველოლოგიის შესავალი", შინაარსი გადამუშავდეს და შეივსოს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან.

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

უნივერსიტეტი მიუთითებს: „სასწავლო კურსი ქართველოლოგიის შესავალი ისწავლება მე-2 სემესტრში და მისი მიზანია სტუდენტს შეუქმნას ზოგადი წარმოდგენა ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ-კულტურულ ასპექტებთან დაკავშირებით. წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით სტუდენტი გაეცნობა საკითხებს საქართველოსა და ქართველების შემსწვლელი ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან ინტერდისციპლინარულად. ვფიქრობთ, კურსის მიზანი, შედეგი და შინაარსი შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს და გამოყენებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურაც რელევანტურია". ექსპერტების აზრით, სასწავლო კურსის მიზნები მართლაც ფორმულირებულია დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. კერძოდ, მიზნებში აღნიშნულია: „სასწავლო კურსის მიზანია... ქართველური ენების, ქართული დამწერლობისა და ქართველთა წარმომავლობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებების, თვალსაზრისებისა და თეორიების გაცნობა - გაანალიზება". აღნიშნული საკითხები კი, კურსის შინაარსში ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი. კერძოდ, სრულად არ გვხვდება ქართველური ენების შესახებ საკითხი/თემა, რაც პროგრამის მიზნებშია ასახული.

რეკომენდაცია:
რეკომენდებულია, სასწავლო კურსების: "დიადი სახელები" და "დიადი წიგნები". ურთიერთმსგავსი თემები გადამუშვდეს, რათა თავიდან იყოს აცილებული თემატური და შინაარსობრივი მსგავსებანი.

უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ ამ სასწავლო კურსებს აქვთ სხვადასხვა სტატუსი. ერთი სავალდებულოა, ხოლო მეორე - არჩევითი. ამასთან, სილაბუსებში ავტორების (შექსპირი, გოეთე, ბაირონი) სხვადასხვა ტექსტებია მითითებული. ექსპერტების აზრით, უნივერსიტეტის არგუმენტები სრულიად გასაგებია, თუმცა, როგორც ექსპერტთა დასკვნაშია აღნიშნული, ამ ორ საგანში ერთმანეთის მსგავსია IV, V, VI თემები, ავტორები, მაგრამ განსხვავდება ავტორთა თხზულებები. შესაბამისად, რეკომენდაცია გადატანილია რჩევაში.

რეკომენდაციები:
გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა „ქართული ფოლკლორის" სასწავლო კურსში, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგთან.

გადამუშავდეს სალექციო მასალა „ქართული ფოლკლორის" სალექციო კურსში ისე, რომ მასში შესაბამისი ტექსტებით ქართული ზეპირსიტყვიერების ყველა ძირითადი ჟანრი იყოს წარმოდგენილი.

„ქართული ფოლკლორის" სილაბუსში ლექციაზე ლექტორის მიერ წაკითხულ თემატიკასთან შესაბამისობაში მოვიდეს სამუშაო ჯგუფში გამოკითხული და განხილული საკითხები.

უნივერსიტეტი იზიარებს ნაწილობრივ. კერძოდ, აღმოიფხვრება ტექნიკური უზუსტობები და შეცდომები და შეივსება სასწავლო კურსი შესაბამისი თემატიკით. ასევე, პროგრამას დაემატება არჩევითი საგანიც.

რეკომენდაცია:
მოხდეს „ქართული დიალექტოლოგიის“ სასწავლო კურსის შინაარსში ქართული ენის ყველა დიალექტის სწავლების ასახვა, რათა სტუდენტმა მიიღოს ქართული ენის დიალექტების შესახებ შესაბამისი ცოდნა, რომელსაც სასწავლო კურსის მიზანიც ითვალისწინებს.

რეკომენდაცია გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ. უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ სასწავლო კურსში გამორჩენილია იმერული, გურული და აჭარული დიალექტების სწავლების საკითხები ტექნიკური უზუსტობის მიზეზით, ხოლო სასწავლო ლიტერატურაში მითითებულია ამ თემების შესაბამისი ლიტერატურა.

რეკომენდაცია:
რეკომენდებულად მიგვაჩნია, გაიზარდოს რეცენზენტის ქულობრივი წილი შეფასებაში, ხოლო ხელმძღვანელის ქულობრივი წილი დაყვანილი იქნას მინიმუმამდე, ან გაუქმდეს.

უნივერსიტეტის აზრით, აღნიშნული საკითხი შემუშვდა 2020-21 წლებში რეკომენდაციების საფუძველზე. ექსპერტების აზრით, რასაკვირველია, ხელმძღვანელი დიდ როლს ასრულებს საბაკალავრო ნაშრომის დამუშავების დროს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ნაშრომი შეფასდეს დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ და მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ხელმძღვანელის შეფასება.

რეკომენდაცია:
რეკომენდებულია, რომ აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, რომლებიც ქართული ფილოლოგიისა და აფხაზური ფილოლოგიის განახლებულ საბაკალავრო პროგრამებზე ახალ სასწავლო კურსებს უძღვებიან, გააძლიერონ სამეცნიერო კვლევები ამ მიმართულებებით და შექმნან სამეცნიერო პუბლიკაციები, რათა დააგროვონ სასწავლო კურსების სწავლებისთვის საჭირო გამოცდილება.

უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ პროგრამების განხორციელებაში ჩართულია აკადემიური აფილირებული მაღალკვალიფიციური და გამოცდილი პერსონალი. აღნიშნული ნამდვილად დასტურდება პროფესორთა პირადი საქმეების გაცნობით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეინიშნება, რომ გასაახლებელია პროფესორთა პირადი მონაცემები, ან ზოგ პროფესორს არ აქვს იმ მიმართულებით კვლევები და სამეცნიერო გამოცდილება, რომელ საგანსაც კითხულობს. მაგალითად, ქართული ფოლკლორის სასწავლო კურსში. რეკომენდაციაც აღნიშნული გარემოების გამო ჩამოყალიბდა.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების კურიკულუმის რუკისა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დოკუმენტების მოდიფცირება, რათა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გახდეს უფრო მოქნილი და ეფექტიანი.

რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან და ძირითადი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების სრულყოფის მიზნით, რაც მოიცავს წარმოდგენილი რუკებისა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დაზუსტება-კორექტირებას.

უნივერსირეტი არ იზიარებს რეკომენდაციებს და მიაჩნია, რომ ისინი ატარებს რჩევის ხასიათს. ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების მოქნილი მექანიზმი, სადაც თითოეული სწავლის შედეგისათვის შერჩეული იქნება რამდენიმე, შესაძლოა, სამი ან ოთხი ძირითადი სასწავლო კურსი, რომელიც განმანმტკიცებელ დონეზე გადის და ამ კურსებიდან შერჩეულ იქნეს ერთი ან, მაქსიმუმ ორი შესაძლებელი აქტივობა. რაც შეეხება მე-11 რეკონედაციას, ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია, ჩატარდეს სამუშაო შეხვედრები, ვორქშოფები, სადაც აღნიშნული ტიპის დოკუმენტებზე მუშაობის პრონციპები იქნება განმარტებული და გაუმჯობესდება პრაქტიკა.

რეკომენდაცია:
რეკომენდებულია განხორციელდეს კითხვარების გადახედვა, კითხვათა ფორმულირებისა და შინაარსის დაზუსტება.
უნივერსირეტი არ იზიარებს რეკომენდაციას და მიაჩნია, რომ რეკომენდაცია ატარებს რჩევის ხასიათს, რადგან „საუბარია მცირე სტილისტურ და ენობრივ ჩასწორებაზე სტუდენტის კითხვარის შაბლონში, სადაც ფიგურირებს, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ფრაზა - თუ არა. მიუხედავად ამ ფრაზისა, მას ცუდი გავლენა არ მოუხდენია გამოკითხვის შედეგებზე გამოკითხვის არც ერთ ეტაპზე, არ გამოუწვევია დაბნეულობა, ამ გარემოებას არ შეუშლია ხელი გამოკითხვის შედეგების ანალიზის, განზოგადების და სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების პროცესში". ასევე, უნივერსიტეტი აცნობიერებს კითხვარის სხვა კომპონენტის უზუსტობასაც. ექსპერტთა აზრით, რადგან უნივერსიტეტისატვის გასაგებია და მისაღებია გამოვლენილი საკითხის შინაარსი, რეკომენდაცია გადატანილია რჩევაში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტების შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასტერულად დაჯგუფებული პროგრამები: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალალვრო პროგრამა გაერთიანებულია ფილოლოგიის კლასტერში. ორივე პროგრამა ფუნქციონირებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალი წელია, აკრედიტებულ რეჟიმში კი 2012 წლიდან (ქართული ფილოლოგია - 2012 წლის 28 ნოემბრის N 747 ოქმის გადაწყვეტილებით. აფხაზური ფილოლოგია- 2012 წლის 28 ნოემბრის N 740 ოქმის გადაწყვეტილებით.

ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული ქართული ფილოლოგიისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამები დაჯგუფებულია შინაარსობრივად და კონცეპტუალურად, არის ერთმანეთთან დაკავშირებული და აქვს საერთო მახასიათებლები. ორივე პროგრამას აქვს საერთო მიზანი, მოამზადოს საქართველოს ორივე სახელმწიფო ენის: ქართული ენისა და აფხაზური ენის და მათზე დაფუძნებული ფოლკლორისა და ლიტერატურის კვალიფიციური სპეციალისტები. ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნები ძირითადად, ეყრდნობა ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა გვხვდება კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებს შორის ურთიერთგანსხვავებული სამეცნიერო ტერმინოლოგია. ექსპერტთა აზრით, სასურველია, პროგრამის მიზნები კლასტერში გაერთიანებული პროგრამისათვის

ქართველური ენების ნაწილში გაწერილი იყოს ერთიდაიმავე დარგობრივი ტერმინოლოგიით.
კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნები რეალისტურია, არის ჩამოყალიბებული ნათლად და მიღწევადია. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნები ასახავს ბაკალავრისათვის შესაფერისი დონის ცოდნას და გვიჩვენებს, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამების მიზნები შეესაბამება სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, ასევე, ძირითადად, შეესაბამება ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ სტანდარტს.
კლასტერში გაერთიანებული პროგრამები მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ფილოლოგიის სფეროს, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)[6]

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა: ზოგადი და ქართველური ენათმეცნიერების ძირითად საკითხებზე; ქართული სალიტერატურო ენის, ქართველური ენებისა და დიალექტების სტრუქტურის, ლექსიკოლოგიისა და ფუნქციონირების შესახებ საბაზო ტერმინოლოგიისა და სალიტერატურო ენის განვითარების ეტაპების გათვალისწინებით; ლიტერატურათმცოდნეობითი საკითხების თავისებურებების შესახებ; ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის არსებით პრობლემებზე საბაზო ტერმინოლოგიის, ლიტერატურის ისტორიისა და თეორიული პოეტიკის ზოგადი კანონზომიერებებისა და განვითარების ეტაპებთან მიმართებით; განუვითაროს ლინგვისტური და ლიტერატურული ანალიზის, კრიტიკულად გააზრების, კომენტირების, ინტერპრეტირებისა და კონტექსტუალიზაციის უნარები; ჩამოუყალიბოს ინტერდისციპლინური მიდგომები, საჭირო დარგობრივი და ტრანსფერული კომპეტენციები; ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური ინტერესების გაფართოება შესაბამისი სამეცნიერო კომპეტენციების ათვისებით; რომლის გამოყენება კურსდამთავრებულს შეუძლია საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში; ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (განათლების დამატებითი პროგრამის ათვისებისა და მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ).

---

[6] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები რეალისტურია, არის ჩამოყალიბებული ნათლად და მიღწევადია. პროგრამებზე სწავლის მიზნები ასახავს ბაკალავრისათვის შესაფერისი დონის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გადცემას. პროგრამების მიზნები შეესაბამება სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, ასევე, შეესაბამება ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ სტანდარტს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მხოლოდ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს. პროგრამის მიზნებია: კურსდამთავრებულს შესძინოს ფართო ცოდნა ზოგადი ფილოლოგიის (ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდმენობის) და საკუთრივ, აფხაზური ფილოლოგიის ძირითადი ასპექტების შესახებ ზოგადი კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის მონაცემთა გამოყენებით. მისცეს კურსდამთავრებულს ფართო ცოდნა აფხაზური ენის რთული ფონოლოგიური და გრამატიკული სისტემების შესახებ; გამოამუშაოს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები ამ ენის ოთხივე სამეტყველო კომპეტენციის (წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა) A2 (საბაზისო) დონეზე და შეასწავლოს თანამედროვე ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკვანძო თეორიული და პრაქტიკული საკითხები. შეასწავლოს აფხაზური ფოლკლორისა და აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ძირითადი ასპექტები, ჟანრები, მთავარი ტექსტები და მათი იდეურ-მხატვრული სპეციფიკა, აფხაზური ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას, მიღწევადია და რეალისტურია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ქართული ფილოლოგიის, აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამები;
- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის წესდება;
- პროგრამების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი sou.edu.ge;
- ინტერვუს შედეგები.

**რეკომენდაციები -** წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები -** არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

სასურველია, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, კლასტერში გაერთიანებული ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ქართველური ენების ნაწილში გაწერილი იყოს ერთიდაიმავე დარგობრივი ტერმინოლოგიით.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პრორგამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება** [7]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

[7] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასტერში გაერთიანებული ქართული ფილოლოგიისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და ფილოლოგიის დარგის მახასიათებელთან. სწავლის შედეგები ორივე პროგრამაში წარმოადგენს ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ერთობლიობას, რომელთაც კურსდამთავრებულები შეიძენენ. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ქართული ფილოლოგიისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა პროფესიული დასაქმების სფეროებთან. ასევე, იძლევა საშუალებას, კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელოს შემდეგ საფეხურზე.
ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგები ძირითადად, ეყრდნობა ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა გვხვდება კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებს შორის ურთიერთგანსხვავებული სამეცნიერო ტერმინოლოგია. ექსპერტთა აზრით, სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგები კლასტერში გაერთიანებული პროგრამისათვის ქართველური ენების ნაწილში გაწერილი იყოს ერთიდაიმავე დარგობრივი ტერმინოლოგიით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებია, კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდეს დარგობრივი კომპეტენციები, ქართული ფილოლოგიისათვის აუცილებელი ცოდნა, რათა იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ფლობს ზოგადი და ქართველური ენათმეცნიერების ფართო ცოდნას; აღწერს ენის, როგორც სემიოტიკური სისტემის, აგებულებისა და ფუნქციონირების, ენობრივი ვარიაციის ზოგად პრინციპებს; განმარტავს ლინგვისტიკურ დებულებებს, ენობრივი ანალიზისა და ენათა ტიპოლოგიური შესწავლის ძირითად წესებსა და მეთოდებს; მსჯელობს ქართული სალიტერატურო ენის, ქართველური ენების ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის საკვანძო საკითხებზე; განიხილავს გრამატიკულ კატეგორიებს, ენის ფუნქციონირებისა და დიალექტოლოგიის საკითხებს, სიტყვათა სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურებებს; აანალიზებს ქართული სალიტერატურო ენის ცვლილებებს და აყალიბებს დასაბუთებულ აზრს ენის ნორმალიზაციის ასპექტებთან მიმართებით; აქვს ფართო ცოდნა ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის ძირითადი ასპექტების, თეორიული პოეტიკის ზოგადი კანონზომიერებებისთვის დამახასიათებელი ძირითადი მარკერების, ლიტერატურული პროცესის, მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ძირითადი კატეგორიების შესახებ; აღწერს ქართული ზეპირსიტყვიერებისა და თექვსმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის პროცესებს; განიხილავს და აანალიზებს ქართულ ლიტერატურას შესაბამის კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში და მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებით. მიღებული დარგობრივი ცოდნის საფუძველზე, საბაზისო კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, ხელმძღვანელის დახმარებით/განსაზღვრული მითითებით, ქმნის სხვადასხვა ტიპის აკადემიურ ნაშრომს (საბაკალავრო ნაშრომი, რეფერატი, ესე) ბეჭდური და ელექტრონული ლექსიკონის/კორპუსის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საბიბლიოთეკო რესურსებისა და საძიებო სისტემების გამოყენებით.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელიც კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია ლოგიკურად. იგი უმთავრესად ეყრდნობა ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს, ასევე, შედეგები ასახავს აფხაზური ფილოლოგიის დარგობრივ კომპეტენციებს, ტრანსფერული უნარების განვითარებას. აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის სწავლის შედეგებში მოაზრებულია შემდეგი კომპეტენციები: პრინციპებს, თეორიებსა და მეთოდებს; აღწერს აფხაზურ ენობრივ სისტემას თეორიულ და პრაქტიკულ ჭრილში, კომპლექსურად აღიქვამს და ერთიანად განიხილავს აფხაზური ენის მონაცემებს ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, გრამატიკულ და ლექსიკოლოგიურ დონეებზე, ავლენს ფართო ცოდნას თანამედროვე ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის თეორიულ და პრაქტიკულ

საკითხებზე. ახდენს ფოლკლორისტიკასა და აფხაზური ლიტერატურის ისტორიის კრიტიკულ გააზრებას; აანალიზებს აფხაზი მწერლების შემოქმედებასა და ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ასევე ძველ და ამჟამინდელ ტენდენციებს; აფხაზურ-ქართული კომუნიკაციის დროს იყენებს ენობრივი შუამავლობის უნარს, თანამედროვე ქართულ ენასა და პრაქტიკულ აფხაზურ ენას A2 (საბაზისო) დონეზე, ასევე ერთ-ერთ ევროპულ ენას (ინგლისურს, გერმანულს, ფრანგულს, ან რუსულს) სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის პროფესიულ კონტექსტში ევროპული ენობრივი ჩარჩოს ოთხივე სამეტყველო კომპეტენციის (წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა) და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, არსებული წერილობითი, ზეპირი და სხვა სახის წყაროების, შესაბამისი მულტიმედიური და საბიბლიოთეკო რესურსების მოძიების მიზნით; ადგენს ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამის მცირე ზომის კვლევით საბაკალავრო ნაშრომს აფხაზური ენის, ფოლკლორის, ლიტერატურის ისტორიის, ქართულ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობების, ან სხვა მიმართულებით მიღებული კომპლექსური ცოდნის გამყარების მიზნით.
აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე აფხაზური ენის შესწავლა დაგეგმილია A2 (საბაზისო) დონეზე. უნივერსიტეტში ვიზიტის დროს დაწესებულებამ აღნიშნა, რომ აფხაზური ენის საბაზისო დონის სწავლის ერთ-ერთ შედეგად მიჩნევა განპირობებულია ერთი მხრივ, აფხაზური ენის ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სირთულეებით, მეორე მხრივ, იმ რეალობით, რომ სტუდენტებს არ აქვთ ფონური ცოდნა აფხაზურ ენაში, მატ უწევთ ენობრივი სირთულეების დაძლევა და მნიშვნელოვანია, რომ სწორედ საბაზისო დონე გაძლიერებული იყოს სხვადაასხვა სასწავლო კურსით, მათ შორის, პრაქტიკული კურსებით. აღნიშნულის შესახებ დეტალურად იხ. 1. 4. პროგრამის სტრუქტურა.
აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები არის რეალისტური, ორიენტირებულია დარგის მნიშვნელოვანი საკითხების სწავლებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ოქმები);
- ჰუმანიტარულ მენციერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

სასურველია, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, კლასტერში შემავალი პროგრამების: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგები ქართველური ენების ნაწილში გაწერილი იყოს ერთიდაიმავე დარგობრივი ტერმინოლოგიით.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

---

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში შემავალი ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები რეგულირდება საუნივერსიტეტო დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

პროგრამის სწავლის შედეგები, როგორც სასწავლო კურსების, ისე საბაკალავრო ნაშრომებისათვის, ფასდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით.

პირდაპირი მეთოდების შეფასებისას სასწავლო კურსები ფასდება იმავე სემესტრის დასრულებისთანავე, არაპირდაპირი მეთოდების მეშვეობით -პროგრამის სრული ციკლის (4 წელი) დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, კერძოდ, მე-5 წელს. ყოველივე ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს, რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. შეფასების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებისას ხდება გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების) აქტიური ჩართულობა, რაც გამოიხატება მათი გამოკითხვით.

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პრორგამისათვის სწავლის შდეგების შეფასების მექანიზმები, რომელიც საერთოა უნივერსიტეტის სხვადასხვა

პროგრამისათვის. აღნიშნული მექანიზმი გულისხმობს სწავლის შედეგების შემოწმების პერიოდულობას, სწავლის შეფასებას პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, სწავლის შედეგების გადახედვას და სხვ. უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს კლასტერში გაერთიანებული პროგრამებისათვის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც აღწერს სწავლის შედეგების შეფასებას ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)[8]

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შფასებისას უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შდეგების შეფასების გეგმა, რომელიც აღწერს სწავლის შედეგებს ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით და მათთან შესაბამისობაში. გეგმაში აღწერილია სწავლის თერთმეტი შედეგი და სასწავლო კურსებთან მისი შესაბამისობის საკითხი, სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, კერძოდ, რომელ სემესტრში ხდება შეფასება, შეფასების მეთოდები და სამიზნე ნიშნულები. შეფასების მეთოდებში გამოიყენება პირდაპირი განმსაზღვრელი შეფასება და მისი სხვადასხვა სახეობა: ქვიზი, რეფარატის დაწერა, პრეზენტაცია, ღია და დახურული კითხვები, წერითი და ზეპირი გამოცდები, რეცენზირება, შუალედური და დასკვნითი შეფასებები და სხვ. სამიზნე ნიშნულებში აღწერილია, რომ გაუსის გადანაწილების თანახმად, სტუდენტთა საერთო რაოდენობის 55-60%-მა უნდა მიიღოს დადებითი საშუალო შეფასება, ხოლო 40-45%-მა უმაღლესი და დაბალი შეფასებები. დასაშვებია აგრეთვე 10-15% გადახრა.

სწავლის შედეგების შფასების არაპირდაპირი მეთოდებიდან გამოიყენება: პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა; პროგრამის დასრულების მაჩვენებელი; პროგრამაზე მობილობის მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, მათ შორის სპეციალობის მიხედვით, და ასევე ე.წ. „სამეცნიერო დასაქმება“, ანუ სწავლის გაგრძელება სწავლების შემდეგ საფეხურზე აღნიშნული სპეციალობით დარგობრივი ცოდნისა და უნარების გაღრმავების მიზნით. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებული რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინება პროგრამის განვითარების მიზნით, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი.

---

[8] საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. საჭიროების მიხედვით, პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის მწკრივები *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შექმნილი დოკუმენტების შესწავლამ ცხადჰყო, რომ საჭიროა მასთში გარკვეული ტიპის ცვლილებების შეტანა, რათა მექანიზმი გახდეს უფრო მოქნილი და ეფექტიანი. სახელდობრ, საუნივერსიტეტო პოლიტიკის თანახმად, სწავლის შედეგები ფასდება კურიკულუმის რუკაში იდენტიფიცირებული განმამტკიცებელ (M/Mastering) დონეზე გამსვლელი სასწავლო კურსებით. კურიკულუმის რუკაში კი პროგრამის სწავლის შედეგების უმრავლესობისთვის M დონეზე გამსვლელი კურსები ჭარბადაა წარმოდგენილი. მაგ., 1-ლ, მე-5 და მე-7 სწავლის შედეგებზე განმტკიცების დონეზე გადის და შესაბამისად ეს შედეგები ფასდება 8, 9 და 10 სასწავლო კურსში. სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დოკუმენტი კი უკვე დეტალურად გვიჩვენებს განმტკიცების დონეზე გამყვანი სასწავლო კურსბიდან თუ რა აქტივობები და შეფასების მეთოდებია შერჩეული. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, განმამტკიცებელი კურსებიდან შერჩეულია არა ერთი გამჭოლი აქტივობა, არამედ რამდენიმე (წერითი და ზეპირი გამოცდები რეფერატი, ქვიზის შესრულება, ღია კითხვები, ზეპირი გამოცდა და სხვ.), რაც მექანიზმს არ ხდის ეფექტურსა და მოქნილს. სწავლის შედეგების შეფასების გეგმის მიხედვით, მაგ., მე-7 სწავლის შედეგი ფასდება 10 სასწავლო კურსით და თითოეული კურსიდან აღებულია 3-4 აქტივობა, რაც საბოლოო ჯამში, ამ შედეგისთვის 30-40 აქტივობაში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებას გულისხმობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ პროგრამას აქვს 11 სწავლის შედეგი, ვფიქრობთ, რომ კურიკულუმის რუკა, ისევე როგორც სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, საჭიროებს გადახედვას. მნიშვნელოვანია, განმამტკიცებელ დონეზე მოხდეს მაქსიმუმ 3-4 სასწავლო კურსის იდენტიფიცირება და ამ კურსებიშიც დაზუსტდეს ერთი გამჭოლი აქტივობა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სასავლო კურსის, ისე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა**

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შფასებისას უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შდეგების შეფასების გეგმა, რომელიც აღწერს სწავლის შედეგებს ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით და მათთან შესაბამისობაში. სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში აღწერილია სწავლის ათი შედეგი და სასწავლო კურსების მასთან შესაბამისობა, ასევე, სწავლის შეფასების პერიოდულობა და სწავლის შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი მეთოდებიდან აღსანიშნავია ქვიზი, რეფარატის დაწერა, პრეზენტაცია, ღია და დახურული კითხვები, წერითი და ზეპირი გამოცდები, რეცენზირება, შუალედური და დასკვნითი შეფასებები და სხვ.

სწავლის შედეგების შფასების არაპირდაპირი მეთოდებიდან გამოიყენება: პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა; პროგრამის დასრულების მაჩვენებელი; პროგარამაზე მობილობის მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, მათ შორის, სპეციალობის მიხედვით, და ასევე, ე.წ. „სამეცნიერო დასაქმება“, ანუ სწავლის გაგრძელება სწავლების შემდეგ საფეხურზე აღნიშნული სპეციალობით დარგობრივი ცოდნისა და უნარების გაღრმავების მიზნით. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებული რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინება პროგრამის განვითარების მიზნით, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი.

აღსანიშნავია, პროგრამის კურიკულუმის რუკაში მეტ-ნაკლებად ჭარბადაა წარმოდგენილი განმამტკიცებელ დონეზე გამსვლელი სასწავლო კურსების რაოდენობა (მაგ., 1-ელ სწავლის შედეგზე 7 სასწავლო კურსი, ხოლო მე-6 სწავლის შედეგზე - 5). მსგავსად ქართული ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმისა, აქაც განმტკიცების (M) დონეზე გამსვლელი სავალდებულო კურსებიდან აღებულია რამდენიმე აქტივობა. მნიშვნელოვანია განხორციელდეს ზემოაღნიშნული მექანიზმების გადახედვა და მოდიფიცირება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საუნივერსიტეტო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები და მათი სწავლის შედეგების შეფასების გეგმები;
- კლასტერული თვითშეფასება;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი;
- კურიკულუმის რუკები;
- სამიზნე ნიშნულები;
- კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალები (სტუდენტთა საბალავრო ნაშრომები);
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების კურიკულუმის რუკისა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დოკუმენტების მოდიფცირება, რათა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გახდეს უფრო მოქნილი და ეფექტიანი.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სტრუქტურის ძირითადი ნაწილი საერთოა. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ძირითადად ეყრდნობა ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს, რომელსაც ასევე ეყრდნობა აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ქართული ფილოლოგიის ნაწილში. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სტრუქტურები მსგავსად არის შედგენილი. ასევე, ორივე პროგრამაში ისწავლება ფილოლოგიის დარგისათვის სავალდებულო ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კუსები. მათ შორის: ახალი ქართული ენა 1; ახალი ქართული ენა 2; ახალი ქართული ენა 3; ახალი ქართული ენა 4. ენათმეცნიერების შესავალი, ზოგადი ენათმეცნიერება, ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი, ლიტერატურის თეორია, უცხოური ენები, აკადემიური წერა და სხვ.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები შედგენილია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად.

პროგრამების სტრუქტურაში გათვალისწინებულია 60 კრედიტის ფარგლებში დამატებითი სპეციალობის (minor) არჩევა.

აღსანიშნავია, რომ სქემატურად ორივე პროგრამა მსგავსი სტრუქტურისაა:

თავისუფალი კრედიტები 24

უცხო ენების ბლოკი 18

ძირითადი სწავლების სფეროს სასწავლო კურსები 138

ზოგადფილოლოგიური ფილოლოგიური კომპეტენციის სავალდებულო კურსები 24

ქართული ენის ბლოკი 24

სავალდებულო საგნები 114 და 126

არჩევითი საგნები 24 და 12

თავისუფალი კომპონენტი 60, მათ შორის, დამატებითი (minor) პროგრამა 48, თავისუფალი კურსები - 12

სულ: 240 კრედიტი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას. კლასტერული პროგრამების სტრუქტურა ლოგიკურია, შედგენილია შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის, დაინტერესებული პირების უკუკავშირის, კოლეგიალური შეფასებების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების გათვალისწინებით. ასევე, პროგრამების სტრუქტურა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შედგება სავალდებულო და არჩევითი ბლოკებისგან. სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები შეადგენს 180

კრედიტს, რომელთაგან სავალდებულო თავასუფალი სასწავლო კურსები შეადგენს 42 კრედიტს (უცხო ენები, ენათმეცნიერების შესავალი, საქართველოს ისტორია, აკადემიური წერა, დიადი წიგნები და ფილოსოფიის შესავალი). მეორე ბლოკს შეადგენს ძირითადი სწავლის სფეროს (major) სავალდებულო სასწავლო კურსებს (114 კრედიტი), იგი აერთიანებს შემდეგ სასწავლო კურსებს: ქართველოლოგიის შესავალი, ახალი ქართული ენა 1 (ფონეტიკა, ფონოლოგია), ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1 (აგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია), ზოგადი ენათმეცნიერება, ახალი ქართული ენა 2 (მორფოლოგია), ლიტერატურის თეორია, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 2 (საერო მწერლობა), ქართული ფოლკლორი, ახალი ქართული ენა 3 (მორფოლოგია), ქართული პალეოგრაფია, ქართული დიალექტოლოგია, რუსთველი და რუსთველოლოგია, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, შესავალი ლიტერატურულ კომპარატივისტიკაში, ახალი ქართული ენა 4 (სინტაქსი), ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ქართული რომანტიზმი, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი ქართული ენა, ქართული ლექსიკოლოგია, ქართული ლიტერატურა ინტერკულტურული პროცესების კონტექსტში. სავალდებულო კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომი. 24 კრედიტის ფარგლებში ბაკალავრებმა შეიძლება აირჩიონ მათთვის სასურველი საგანი ლიტერათურათმცოდნეობის ან ენათმეცნიერების არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკიდან: სტილისტიკა, ქართველური ენები (სვანური, ზანური), ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორია, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, აფხაზური ენა, ენობრივი სიტუაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მწერლის ენა, დამწერლობის ისტორია, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები, ქართული კრიტიკის ისტორია, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნება, ტექსტი - არქეტიპი ინტერტექსტში, ქართული მოდერნიზმი, ქართული პოსტმოდერნიზმი, ჟანრის პოეტიკა: პიკარესკა XX საუკუნის ქართული მწერლობის კონტექსტში, ისტორიის ბელეტრისტული ტრანსფორმაცია ქართულ რომანისტიკაში (ძირითადი ტენდენციები), დიადი სახელები (მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან). შემოთავაზებულ საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტს შეუძლია, რომ თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი - დაგეგმოს ინდივიდუალურად, თავისი შეხედულებისამებრ. უნივერსიტეტი სთავაზობს ორ შესაძლო ვარიანტს:

ა) თავისუფალი კურსები - 60 კრედიტი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის (მათ შორის ძირითადი სფეროს არჩევითი კურსების) ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსებს.

ბ) დამატებითი (minor) პროგრამა - 48 კრედიტი - დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან. თავისუფალი კურსები - 12 კრედიტი - სტუდენტს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი წინაპირობების გათვალისწინებით.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრი პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, არის ლოგიკური და ხელს უწყობს დასახული შედეგების მიღწევადობას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგება შემდეგი სტრუქტურისაგან: თავისუფალი სავალდებულო კურსები; ფილოლოგის კომპეტენციისათვის სავალდებულო კურსები; აფხაზოლოგი ფილოლოგის კომპეტენციისათვის საჭირო კურსები; ქართველოლოგი ფილოლოგისათვის საჭირო კურსები;.

აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შედგება თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსებისაგან - 42 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 126 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 12 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტშ შეუძლია გაიაროს დამატებითი (minor) პროგრამა 48 კრედიტი და თავისუფალი კურსები - 12 კრედიტი.

სტუდენტს ეძლევა საშუალება, მიიღოს ცოდნა ზოგადი, ჰუმანიტარული, აფხაზოლოგიური და ქართველოლოგიური განხრებით. პროგრამის სტრუქტურაში ასევე გვხვდება ისტორიული და ეთნოლოგიური სასწავლო კურსები. უნივერსიტეტის განმარტებით, ეს განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: სტუდენტთა უმრავლესობამ არ იცის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორია, აფხაზი ხალხის ეთნოლოგიური სპეციფიკა, აფხაზურ-ქართულ ურთიერთობათა წარსული და აწმყო. ამ საკითხების ცოდნა ბევრ რამეს სწორად დაანახვებს აფხაზური ენის, ფოლკლორისა და ლიტერატურის შემსწავლელსაც და მკვლევარსაც; ამ კურსების საფუძველზე იქმნება შესაძლებლობა ქართული და აფხაზური სამყაროების მსგავსებისა და სხვაობის ობიექტურად გასააზრებლად.

ამასან, აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში არის ისეთი საგნები, რომლებიც იკითხება მხოლოდ ამ პროგრამაზე, რადგან აღნიშნულ პროგრამას ზუსტი ანალოგი არ გააჩნია. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურაშია აფხაზური ფილოლოგიისათვის სპეციფიკური საგნები: აფხაზური ენის ეკოლინგვისტიკა, ქართულ-აფხაზური ლინგვოკულტურული კონტაქტები; ქართულ-აფხაზური ეთნოლოგიური თანხვედრები; აფხაზეთის წერილობითი ძეგლები; ენობრივი სიტუაცია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში; აფხაზური თემა ქართულ პოეზიაში.

აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში შედის აფხაზური ენის დასაუფლებელი სასწავლო კურსები: აფხაზური ენა 1; აფხაზური ენა 2; აფხაზური ენა 3; აფხაზური ენა 4; ასევე, საკომუნიკაციო აფხაზური ენა 1; საკომუნიკაციო აფხაზური ენა 2; საკომუნიკაციო აფხაზური ენა 3; საკომუნიკაციო აფხაზური ენა 4. აღნიშნული სასწავლო კურსები 6 კრედიტიანია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში აფხაზური ენა ისწავლება ინტენსიურად, სწავლის მიზნებსა და შედეგებში აღნიშნულია, რომ პროგრამის აფხაზური ენის შესწავლა საბაზისო (A2) დონეზე მიმდინარეობს. სასურველია, აფხაზური ენის სწავლება გაგრძელდეს B1 დონემდე არჩევითი სასწავლო კურსების სტატუსით.

აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრი პროგრამის სტრუქტურა არის ლოგიკური და ხელს უწყობს დასახული შედეგების მიღწევადობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია/აკადემიური საბჭოს დადგენილება №05/01-384, 22.02.2018;
- საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული სილაბუსებით;
- პროგრამის სტრუქტურები და სასწავლო გეგმები;
- კურიკულუმის რუკები;
- პროგრამების შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები (თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ოქმები);
- კოლეგიალური შეფასებები;
- ჰუმანიტარულ მენციერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, შეფასება და ანალიზი;
- სსუ-ს ვებგვერდი: www.sou.edu.ge.
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

სასურველია, აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში შემუშავებული იყოს არჩევითი სასწავლო კურსები აფხაზური ენა B1.1 B1.2

...............

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- ➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები

უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება „ქართული ფილოლოგიისა“ და „აფხაზური ფილოლოგიის“ პროგრამების სწავლის შედეგებს; ქართული და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო და არჩევით საგნებში წარმოდგენილია ახალი კურსები, რომლებიც წინა აკრედიტაციის დროს წარმოდგენილ პროგრამებში არ იყო. კურსები შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს. ისინი შინაარსისა და ფუნქციის თვალსაზრისით კავშირშია ერთმანეთთან, რაც სტუდენტს მთლიანობაში, კომპლექსური ცოდნის მიღებისა და მრავალმხრივი უნარების გამომუშავების შესაძლებლობას აძლევს. თუმცა, ორივე საბაკალავრო პროგრამაში არის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსი, რომლებშიც დასტურდება გარკვეული ტიპის ხარვეზები და საჭიროებს კორექტირებას, რადგან მათი შინაარსი და მოცულობა სრულად არ შეესაბამება სასწავლო კურსის შედეგებს.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ძირითადი სასწავლო კურსია აკადემკიური წერა, რომლის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის არგუმენტირებული ნაშრომის, მათ შორის, სამეცნიერო ნაშრომის შექმნის კრიტერიუმებს, ციტირების სტილებს, სამეცნიერო ეთიკას, პლაგიატის საკითხებს და სხვ. აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსის სწავლებისას არ არის გათვალისწინებული ელექტრონული სასწავლო პლატფორმით სტუდენტების ნაშრომების შემოწმების საკითხი.

კლასტერში გაერთიანებული ორივე პროგრამისათვის საერთოა სასწავლო კურსები: “დიადი სახელები” და “დიადი წიგნები”. აღნიშნული სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა ერთიდაიგივეა, ამასთან, ერთმანეთის მსგავსია IV, V, VI თემები, ავტორები, თუმცა განსხვავდება ავტორთა თხზულებები.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამებისათვის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსია “ქართველოლოგიის შესავალი”, რომლის მიზანია ფართო ცოდნის გადაცემა ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ-კულტურულ ასპექტებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ქართველოლოგიის ჩასახვისა და განვითარების ზოგადი ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ქართველური ენების, ქართული დამწერლობისა და ქართველთა წარმომავლობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებების, თვალსაზრისებისა და თეორიების გაცნობა - გაანალიზება. იმ აქტუალური საკითხების გააზრება, რომლებიც უკავშირდება გეოპოლიტიკურ ვითარებასა და ენობრივ სიტუაციას საქართველოში. აღნიშნული მიზნები შეესაბამება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა კურსის შინაარსში ვხვდებით გარკვეულ აცდენებს. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის “ქართველოლოგიის შესავალი” შინაარსი

გადამუშავდეს და შეივსოს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელთან.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამებისათვის სავალდებულო კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში მიღებული დარგობრივი ცოდნისა და ზოგადი უნარების, ქართულ ფილოლოგიაში პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების დოკუმენტირებას. ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამასა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამებში შესრულებული საბაკალავრო ნაშრომები არ მოწმდება პლაგიატის ამომცნობი პროგრამით. უნივერსიტეტის განმარტებით, ამჟამად ინერგება კლასტერში გაერთიანებული პროგრამებისათვის საბაკალავრო ნაშრომების შემოწმება პლაგიატის ამომცნობი პროგრამით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება „ქართული ფილოლოგიის" პროგრამის სწავლის შედეგებს; ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და არჩევით საგნებში შეტანილია ახალი კურსები, რომლებიც წინა აკრედიტაციის დროს წარმოდგენილ პროგრამებში არ იყო. კურსები შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს. ისინი შინაარსისა და ფუნქციის თვალსაზრისით კავშირშია ერთმანეთთან, რაც სტუდენტს მთლიანობაში კომპლექსური ცოდნის მიღებისა და მრავალმხრივი უნარების გამომუშავების შესაძლებლობას აძლევს.

თუმცა „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამაში არის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსი, რომლებშიც დასტურდება გარკვეული ტიპის ხარვეზები და საჭიროებს კორექტირებას, რადგან მათი შინაარსი და მოცულობა სრულად არ შეესაბამება სასწავლო კურსის შედეგებს.

ქართული ფილოლოგიის პროგრამის სავალდებულო „ქართული დიალექტოლოგიის" სასწავლო კურსში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, შესულია აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის დიალექტების, ქართული ენის სამხრეთ-დასავლური, კერძოდ, მესხური და ჯავახური კილო-კავებისა და დასავლეთ საქართველოს ზემო ზონის - რაჭული დიალექტის შესწავლის საკითხები. თუმცა „ქართული დიალექტოლოგიის" სასწავლო კურსის შინაარსში არსად არ არის მითითებული აჭარული, იმერული და გურული დიალექტების შესწავლის საკითხი. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსის შინაარსში ქართული ენის ყველა დიალექტი მეტ-ნაკლებად თანაბრად იყოს წარმოდგენილი, რათა სტუდენტმა მიიღოს ქართული ენის დიალექტების შესახებ შესაბამისი ცოდნა, რომელსაც სასწავლო კურსის მიზანიც ითვალისწინებს.

ქართული ფილოლოგიის პროგრამის სავალდებულო „ქართული ფოლკლორის" სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილი სალექციო თემატიკა განსხვავდება ამავე კვირეულის სამუშაო ჯგუფის თემატიკისაგან. როცა, როგორც წესი, სამუშაო ჯგუფში უნდა მოხდეს იმ თემატიკის დამუშავება და განზოგადება, რაზეც ლექციაზე იყო საუბარი. აუცილებელია,

სამუშაო ჯგუფში გამოკითხული და განხილული საკითხები შესაბამისობაში მოვიდეს ლექციაზე ლექტორის მიერ წაკითხულ თემატიკასთან. ასევე სალექციო თემატიკაში ასახული არ არის ქართული ფოლკლორული შემოქმედების ისეთი მნიშვნელოვანი ჟანრი, როგორიც არის საგმირო პოეზია. მნიშვნელოვანია, რომ გადამუშავდეს სალექციო მასალა „ქართული ფოლკლორის" სალექციო კურსში ისე, რომ ყველა ძირითადი ჟანრი მასში იყოს წარმოდგენილი შესაბამისი ტექსტებით. ასევე სასურველია, რომ „ქართული ფოლკლორის" სილაბუსში არჩევით ლიტერატურას დაემატოს რჩეული ნაწარმოებები ხალხური ტექსტების შემდეგი გამოცემებიდან: ამირანიანი - ქართული ხალხური პროზა, II, თსუ გამომცემლობა (2019), ხალხური სიტყვიერება ტ. IV; ქართული ხალხური სიტყვიერების (მეგრული ტექსტები, შემდგ. კ. დანელია, აპ. ცანავა, 1991) პირველი და მეორე ტომი; აკაკი შანიძის ხევსურული პოეზია (2009); ასევე რჩეული პოეტური ტექსტები ქართული ხალხური პოეზიის თორმეტტომეულიდან.

„ქართული ფოლკლორის" სასწავლო კურსის მოცულობა სრულად არ აკმაყოფილებს სტანდარტებს, კერძოდ, გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა არ შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლების შედეგებს, რადგან ქართული ფოლკლორის ჟანრების შესწავლა, შესაბამისი ტექსტებით, მოითხოვს გაცილებით მეტ საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს, ვიდრე ის სასწავლო კურსის სილაბუსით არის გათვალისწინებული. როგორც ცნობილია, ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე თემატურად მდიდარი და მრავალფეროვანი ფოლკლორი შექმნა. სასწავლო კურსის მიზნებით გათვალისწინებული ცოდნის გადაცემა სამკრედიტიანი კურსით შეუძლებელი იქნება. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა „ქართული ფოლკლორის" საგანში, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგთან.

ქართული ფილოლოგიის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში სწავლება, რაც გულისხმობს ქართული ლიტერატურის დასაბამიდან განვითარების ყველა ასპექტის ჩათვლით მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ეტაპებთან და პერიოდებთან შესაბამისად წარმოდგენას. პროგრამაში ამ საკითხს ცალკე სასწავლო კურსი არ ეთმობა, თუმცა უნივერსიტეტის მითითებით, საკითხი რამდენიმე სასწავლო კურსშია ასახული, სასურველია, ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში სრულფასოვნად აისახოს სასწავლო კურსში/კურსებში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება „აფხაზური ფილოლოგიის" პროგრამის სწავლის შედეგებს; აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში შეტანილია ახალი კურსები, რომლებიც წინა აკრედიტაციის დროს წარმოდგენილ პროგრამებში არ იყო. კურსები შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს. ისინი შინაარსისა და ფუნქციის თვალსაზრისით კავშირშია ერთმანეთთან, რაც

სტუდენტს მთლიანობაში კომპლექსური ცოდნის მიღებისა და მრავალმხრივი უნარების გამომუშავების შესაძლებლობას აძლევს.

თუმცა „აფხაზური ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაში არის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსი, რომლებშიც დასტურდება გარკვეული ტიპის ხარვეზები და საჭიროებს კორექტირებას, რადგან მათი შინაარსი და მოცულობა სრულად არ შეესაბამება სასწავლო კურსის შედეგებს.

„აფხაზური ფოლკლორის“ სასწავლო კურსის მოცულობა სრულად არ აკმაყოფილებს სტანდარტებს, კერძოდ, გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა არ შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლების შედეგებს. სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული კვირეული დავალება ზოგჯერ ითვალისწინებს სახელმძღვანელოდან 60-70 გვერდის დასწავლას. შესასწავლი მასალის სირთულე და მოცულობა, სასწავლო კურსის მიზნების განხორციელება მოითხოვს გაცილებით მეტ საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. ამდენად, მიზანშეწონილია, რომ „აფხაზური ფოლკლორის“ სასწავლო კურსში გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა. ასევე სასურველია, „აფხაზური ფოლკლორის“ სილაბუსში შესასწავლ თემებთან მიმართებით უფრო ფართო მოცულობით იყოს წარმოდგენილი არჩევითი ლიტერატურა, კერძოდ, აფხაზური ხალხური ტექსტების შემდეგი გამოცემები: ამბავი ნართებისა -აფხაზური ხალხური ეპოსი (1980, 2007); აირგის სიმღერა - აფხაზური ხალხური პოეზია (1984); სასწავლო კურსის მიზნებით გათვალისწინებული ცოდნის გადაცემა სამკრედიტიანი კურსით შეუძლებელი იქნება. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა „აფხაზური ფოლკლორის“ საგანში, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ქართული ფილოლოგიის, აფხაზური ფიოლოლოგიის საბაკალავრო პროგრამები და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმები;
- საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები;
- სსუ-ს ვებგვერდი: www.sou.edu.ge.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შესრულებული საბაკალავრო ნაშრომი შემოწმდეს პლაგიატის ამომცნობი პროგრამით.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის "ქართველოლოგიის შესავალი", შინაარსი გადამუშავდეს და შეივსოს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- სასურველია, არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განსაზღვრული საგნის: "აკადემიური წერა", სწავლება მოხდეს ელექტრონული პლატფორმის ჩართულობით, რომლითაც შესაძლებელი იქნება ნაშრომის შემოწმება პლაგიატის ამომცნობი სისტემით.
- სასურველია, სასწავლო კურსების: "დიადი სახელები" და "დიადი წიგნები". ურთიერთმსგავსი თემები გადამუშვდეს, რათა თავიდან იყოს აცილებული თემატური და შინაარსობრივი მსგავსებანი.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა** 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსში, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგთან.

მოხდეს „ქართული დიალექტოლოგიის“ სასწავლო კურსის შინაარსში ქართული ენის ყველა დიალექტის სწავლების ასახვა, რათა სტუდენტმა მიიღოს ქართული ენის დიალექტების შესახებ შესაბამისი ცოდნა, რომელსაც სასწავლო კურსის მიზანიც ითვალისწინებს.

გადამუშავდეს სალექციო მასალა „ქართული ფოლკლორის“ სალექციო კურსში ისე, რომ მასში შესაბამისი ტექსტებით ქართული ზეპირსიტყვიერების ყველა ძირითადი ჟანრი იყოს წარმოდგენილი.

„ქართული ფოლკლორის“ სილაბუსში ლექციაზე ლექტორის მიერ წაკითხულ თემატიკასთან შესაბამისობაში მოვიდეს სამუშაო ჯგუფში გამოკითხული და განხილული საკითხები.

**რჩევ(ებ)ი:**

სასურველია, რომ „ქართული ფოლკლორის“ სილაბუსში არჩევით ლიტერატურას დაემატოს რჩეული ნაწარმოებები ხალხური ტექსტების შემდეგი გამოცემებიდან: ამირანიანი - ქართული ხალხური პროზა, II, თსუ გამომცემლობა (2019), ხალხური სიტყვიერება ტ. IV; ქართული ხალხური სიტყვიერების (მეგრული ტექსტები, შემდგ. კ. დანელია, აპ. ცანავა, 1991) პირველი და მეორე ტომი; აკაკი შანიძის ხევსურული პოეზია (2009); ასევე რჩეული პოეტური ტექსტები ქართული ხალხური პოეზიის თორმეტტომეულიდან.

სასურველია, ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში სრულფასოვნად აისახოს სასწავლო კურსში/კურსებში.

**პროგრამა 2** (აფხაზური ფოლკლორის საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა „აფხაზური ფოლკლორის“ სასწავლო კურსში, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგთან.

**რჩევ(ებ)ი:**



სასურველია, „აფხაზური ფოლკლორის“ სილაბუსში შესასწავლ თემებთან მიმართებით უფრო ფართო მოცულობით იყოს წარმოდგენილი არჩევითი ლიტერატურა, კერძოდ, აფხაზური ხალხური ტექსტების შემდეგი გამოცემები: ამბავი ნართებისა -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული

მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

## 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამებისათვის განსაზღვრულია აბიტურიენტთა ქართული ფილოლოგიის, აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამებზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.
მიღებისწინაპირობები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან. მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე, აბიტურიენტის ცნობარსა და უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე: www.sou.edu.ge.
კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში სტუდენტთა მიღება მიმდინარეობს სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები არის გამჭვირვალე, ნათელი, ლოგიკური. კერძოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების, პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით, კერძოდ, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხად სავალდებულოა:

ა)უცხოური ენის (ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის ან რუსულის) ჩაბარება;

ბ)ქართული ენისა და ლიტერატურის ჩაბარება;

გ)ისტორიის ან ლიტერატურის ჩაბარება.

2)ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.

3)სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა და გარე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე სწავლების მესამე სემესტრიდან.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები არის გამჭვირვალე, ნათელი, ლოგიკური. კერძოდ, აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხად სავალდებულოა: ა)უცხოური ენის (ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის ან რუსულის) ჩაბარება;

ბ)ქართული ენისა და ლიტერატურის ჩაბარება;

გ)ისტორიის ან ლიტერატურის ჩაბარება.

2)ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.

3)სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა და გარე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე.

სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე სწავლების მესამე სემესტრიდან.

აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მიღბის წინაპირობები არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ქართული და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამები;
- პროგრამებზე დაშვების წინაპირობები;

- საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- საინფორმაციო/სარეკლამო ბუკლეტიhttps://www.sou.edu.ge/images/file/1647270813--soxumis%20universitetis%20bukleti1.pdf
- შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდი www.naec.ge;
- სსუ-ს ვებგვერდი www.sou.edu.ge.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

...............

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული ქართული და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული, საბაზისო კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. აღნიშნული დასტურდება სხვადასხვა მახასიათებლებით: უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები, რომელთა ფარგლებშიც ორგანიზაციები მზად არიან მიიღონ სტუდენტები და კურსდამთავრებულები სტაჟირებაზე. კვლევითი უნარების განვითარების კუთხით, საბაკალავრო პროგრამების აუცილებელი კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება.

სავალდებულო თუ არჩევითი სასწავლო კურსი შუალედური შეფასების ნაწილში სთავაზობს სტუდენტს სხვადასხვა სახის აკადემიური ნაშრომის შესრულებას (რეფერატი, ესე, პროექტის პრეზენტაცია და სხვ.), რაც ასევე ეხმარება სტუდენტს საბაზისო კვლევითი უნარების განვითარებაში და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაში.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, სადაც აქტიურად არიან ჩართული ქართული ფილოლოგიისა და აფხაზური ფილოლოგიის სტუდენტები. კლასტერის პროგრამაში შემავალი ორივე პროგრამა სათანადო ყურადღებას უთმობს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას: ორივე პროგრამის აკადემიური პერსონალის მხარდაჭერით უსდ-ში შექმნილია სტუდენტთა საენათმეცნიერო წრე, რომელშიც

გაერთიანებულნი არიან ქართული და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები. უსდ-ში სისტემატურად იმართება სახელმწიფო ენის დღის - 14 აპრილისადმი მიძღვნილი სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებები: სამეცნიერო კონფერენციები, თემატური საღამოები, რომლებშიც მონაწილეობენ პროგრამის სტუდენტები. აფხაზური ფილოლოგიის სტუდენტები ყოველ 27 ოქტომბერს სხვადასხვა ფორმით აღნიშნავენ აფხაზური ენის დღეს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამშვიდობო განათლების ცენტრის ხელშეწყობით 2018-2019 წლებში სტუდენტებისა და პროგრამის პერსონალის მონაწილეობით გაიმართა 3 სასწავლო-კვლევითი ექსპედიცია აჭარაში, სენაკ-მარტვილსა და ზუგდიდში. სტუდენტები აჭარაში გაეცნენ იქ მცხოვრებ აფხაზთა აფხაზური მეტყველების თავისებურებებს, ჩაიწერეს აფხაზური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და მეტყველების თავისებურებანი.
აღნიშნული აქტივობებისა და ღონისძიებების განხორციელება ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

### 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

---

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისიხს უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახდენს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევას. პერსონალს და მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს აფასებს როგორც ადმინისტრაცია, ისე სტუდენტი. უსდ-ის შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარები სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების მიზნით და სემესტრის ბოლოს სტუდენტი ანონიმურად ავსებს კითხვარს, რომლის მონაცემების გაანალიზებას  ახდენს უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შეფასების შედეგები მუშავდება, დგება ანალიზის დოკუმენტები, რეკომენდაციები და ხდება რეაგირება ძლიერი მხარეების განსამტკიცებლად და სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად.

რაც შეეხება პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შეფასებას, ყოველი წლის ბოლოს სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს ავსებს აკადემიური პერსონალი აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ანგარიშის ფორმაში, მონაცემები და ანგარიშები ეგზავნება სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს, ხოლო დეპარტამენტი დამუშავებულ და შეჯერებულ ანგარიშებს უგზავნის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, სადაც აკადემიის შესაბამისი დარგის ექსპერტები აფასებენ კვლევის შედეგებს სპეციალური კითხვარებით და შეფასების შედეგები ეგზავნება უნივერსიტეტის დეპარტამენტს. შედეგების გასაცნობად და პროცესის გაუმჯობესების მიზნით უსდ-ში ტარდება შესაბამისი შეხვედრები.

პროგრამაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში, განვითარების მხარდამჭერ ტრენინგებსა და სემინარებში, აქვეყნებს სტატიებსა და პუბლიკაციებს.

უსდ საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ელექტრონული/დისტანციური სწავლება-სწავლის/შეფასების მეთოდების ეფექტურად გამოყენების მიზნით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადებას.

ქართული ფილოლოგიისა და აფხაზური ფილოლოგიის პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის საქმიანობის განხორციელების ხელშესაწყობად შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა. თუმცა სასურველია, გაიზარდოს მათი, განსაკუთრებით კი აფელირებული აკადემიური პერსონალის სახელფასო ანაზღაურება.

საჭიროების შემთხვევაში, **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები);
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შრომები;
- პერსონალის კვლევის მაჩვენებლები და შეფასებები;
- „სოხუმის უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია“;
- საკონფერენციო მასალები და პროგრამები;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამაში ჩართულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

სასურველია, გაიზარდოს აფელირებული აკადემიური პერსონალის სახელფასო ანაზღაურება.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით მფლობელობაში აქვს 2 სასწავლო კორპუსი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია ორივე სასწავლო კორპუსში. ის მოიცავს სამკითხველო დარბაზებს, წიგნსაცავს, პერსონალის სამუშაო სივრცეს, საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილ სივრცეს, სივრცეს შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც ჩართულია ინტერნეტში. უნივერსიტეტს გააჩნია ელექტრონული ბიბლიოთეკა, შესაბამისი საიტი, ელექტრონული კატალოგი. არსებული ფონდი მრავალფეროვანია, განახლებადია და უზრუნველყოფს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ისე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განხორციელებას. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტს ჟურნალ-გაზეთების მიწოდებაზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს - „პლანეტა ფორტესტან", რის საფუძველზეც ხდება პერიოდული გამოცემების მოწოდება. უნივერსიტეტს შპს - ,,ინოვეითივ სისტემს მენეჯმენტთან" გაფორმებული აქვს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც დაწესებულების ბიბლიოთეკა ჩართულია საქართველოში მოქმედ საუნივერსიტეტო და კვლევითი ინსტიტუტების საბიბლიოთეკო ქსელში. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ორივე სამკითხველო დარბაზში მოცემულია მკითხველთა ბარათები და წიგნების ანბანური და სისტემური კატალოგები.

სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა. სსუ-ის საბიბლიოთეკო ფონდი უნივერსიტეტი ჩართულია საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო- კვლევითი დაწესებულებების გაერთიანებული კატალოგების ქსელში (Ever – Green), მიმდინარეობს კატალოგის ეტაპობრივი შევსება.

უნივერსიტეტი სხვა უსდ-ებთან ერთად კონსორციუმის ფარგლებში სარგებლობს SCOPUS-ის სამეცნიერო ბაზებით. https://id.elsevier.com/

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელზეც განთავსებულია სხვადასხვა სპეციალობისთვის აუცილებელი ლიტერატურა:

https://sou.library.ac.ge/eg/opac/home

https://elibrary.sou.edu.ge/ge/e-library/scientific-bases

https://elibrary.sou.edu.ge/ge/books

ბიბლიოთეკის პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, მონაწილეობას იღებს ტრენინგებში, ეცნობა სიახლეებს. პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და

პერსონალის ინფორმირებულობას, ეხმარება ლიტერატურისა და სხვა რესურსების მოძიებაში. სერვისის გაუმჯობესების მიზნით ტარდება გამოკითხვები სტუდენტთა შორის.

უნივერსიტეტი ზრუნავს რესურსებისა და სერვისების განახლებასა და გაუმჯობესებაზე, რაზეც მიუთითებს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები.

უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. უნივერსიტეტი აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით, ასლგადამღები აპარატებით, პრინტერებით, სკანერებით. ინტერნეტი ხელმისაწვდომია დაწესებულების ორივე კორპუსში. “Tempus” და “Erasmus +” პროექტების ფარგლებში შექმნილია აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია ვიდეოკოფერენციის მოწყობილობითა და ე.წ. „ჭკვიანი“ დაფებით.

საგანმანათლებლო პროცესში დისტანციური სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების გამოყენებისას, უსდ ხელს უწყობს, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი და სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ შესაბამისი რესურსებით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო პროცესი ხორციელდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის მე-6 და მე-7 სართულებზე. იგი უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო რესურსებითა და ტექნიკური აღჭურვილობით. საბაკალავრო პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილია სააუდიტორიო ფონდით, საპრეზენტაციოდ აუცილებელი აუდიო და ვიდეო ტექნიკით, საკონფერენციო დარბაზით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასებით, უწყვეტი ელექტროენერგიით, გათბობის სისტემით, სველი წერტილებით. სსუ საბიბლიოთეკო ფონდი სტუდენტებს უზრუნველყოფს ცალკეული სილაბუსების მიხედვით აუცილებელი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

აფხაზოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები ხორციელდება უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 311-ე ოთახში, სადაც განთავსებულია სამუშაო მაგიდები, 3 პერსონალური კომპიუტერი, სკანერი, პრინტერი და კავკასიოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურა 2 000-ზე მეტი წიგნით, მათ შორისაა სოხუმსა და თბილისში გამოცემული აფხაზური ენის ძველი (რარიტეტულის ჩათვლით) და უახლესი სახელმძღვანელოები, ორენოვანი (აფხაზურ-ქართული, ქართულ-აფხაზური, აფხაზურ-რუსული, რუსულ-აფხაზური) ლექსიკონები, ეთნოლოგიური, ისტორიოგრაფიული, არქეოლოგიური, სოციალური შინაარსისა და საცნობარო ლიტერატურა ქართულ, აფხაზურ, რუსულ და ზოგ ევროპულ ენაზე; კომპიუტერებში ინახება სასწავლო ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები. აქვე ტარდება საკონტაქტო მეცადინეობები და კონსულტაციები. საინფორმაციო რესურსები.

პროგრამისა და მისი სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე - მისამართი: sou.edu.ge; უნივერსიტეტის ყოველთვიურ გაზეთ „სოხუმის უნივერსიტეტში“, ფეისბუკის გვერდზე - Abkhazology აფხაზოლოგია, ბლოგზე https://www.abkhazology.wordpress.com ; ბლოგზე ატვირთულია სკანირებული სასწავლო აფხაზოლოგიური ლიტერატურა.

სსუ-ის საბიბლიოთეკო ფონდი სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს ცალკეული სილაბუსების მიხედვით.

აფხაზური ფილოლოგიის პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, სასწავლო რესურსებით.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან (ს/კ 01.14.05.005.003; ს/კ 01.14.05.005.134);
- შენობა ნაგებობების აზომვითი ნახაზები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ვიზუალური დათვალიერება;
- შესყიდვის დოკუმენტაცია;
- საინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების დებულება; იხ. https://www.sou.edu.ge/images/file/1531730684 debuleba_informaciuli%20teqnologiebi.pdf
- შესაბამისი ხელშეკრულებები (ინტერნეტის მოწოდება, დომეინი, ჰოსტინგი);
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- სსუ-ს ვებგვერდი www.sou.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

...............

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული ქართული და აფხაზური ფილოლოგის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიუჯეტებიდან, რომლებიც თავის მხრივ დგება ინსტიტუციის შემოსავლებით და ინვესტიციებით. ამასთან, პროგრამები ფინანსდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფოს მიერ, ვინაიდან უნივერსიტეტისთვის წამოადგენენ პრიორიტეტულ პროგრამებს, რომლებზედაც სწავლა სტუდენტებისთვის უფასოა. ორივე პროგრამაზე სწავლის საფასური შეადგენს 2250 ლარს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

თვითშეფასების ანგარიშს თანდართულ დოკუმენტაციაში, ბიუჯეტის ნაწილში წარმოდგენილია უნივერსიტეტის მთლიანი, ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტები. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში ითვლის სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად სწავლის საფასურის ოდენობას, ხოლო ხარჯვით ნაწილში წარმოდეგენილია პირდაპირი ხარჯები, მათ შორის შრომის ანაზღაურება (ხელფასები), საქონელი და მომსახურება. პროგრამის ბიუჯეტში მოიცავს წარმომადგენლობით ხარჯებსაც, მათ შორის, პერსონალის მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან, ტრენინგებთან დაკავშირებული ხარჯი; კვლევების, განვითარების და სხვა მსგავსი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით გაწეული ხარჯები; იმფაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების ხარჯები; პერსონალისა და სტუდენტთა კონფერენციების, სესიების სიმპოზიუმების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი; სამეცნიერო შრომების, გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოცემის, რუკების, სქემების, დიაგრამების, ესკიზების, მაკეტების შეძენისა და დამზადების ხარჯი და სხვ. წარმოდგენილი ბიუჯეტი ცხადჰყოფს, რომ პროგრამა ფინანსურად მომგებიანია.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ დამატებით წარმოდგენას გვიქმნის ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ბიუჯეტი, რომელის ხარჯთაღრიცხვაშიც გათვალისწინებულია როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასები, ისე პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის, სტუდენტთა წახალისების, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობისა და მოტივაციის გაზრდისთვის, საბიბლიოთეკო ფონდის განახლებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისთვის განკუთვნილი ხარჯები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

კლასტერულ თვითშეფასებას თანდართული დოკუმენტაციაში, აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნვრლყოფის დასაბუთების მიზნით წარმოდგენილია როგორც უნივერსიტეტის ბუჯეტი, ისე ფაკულტეტისა და საკუთრივ პროგრამის ბიუჯეტი. მსგავსად ქართული ფილოლოგიის პროგრამისა, აფხაზური

ფილოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში ითვლის სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად სწავლის საფასურის ოდენობას, ხოლო ხარჯვით ნაწილში წარმოდგენილია პირდაპირი ხარჯები, მათ შორის შრომის ანაზღაურება (ხელფასები), საქონელი და მომსახურება. პროგრამის ბიუჯეტში მოიცავს წარმომადგენლობით ხარჯებსაც, მათ შორის, პერსონალის მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან, ტრენინგებთან დაკავშირებული ხარჯი; კვლევების, განვითარების და სხვა მსგავსი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით გაწეული ხარჯები; იმფაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების ხარჯები; პერსონალისა და სტუდენტთა კონფერენციების, სესიების სიმპოზიუმების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი; სამეცნიერო შრომების, გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოცემის, რუკების, სქემების, დიაგრამების, ესკიზების, მაკეტების შეძენისა და დამზადების ხარჯი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისგან განსხვავებით აფხაზური ფილოლოგიის პროგრამა, წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით არ არის მომგებიანი. თუმცაღა, პროგრამა მისი ღირებულებიდან და მნიშვნელობიდან გამომდიარე, უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის გათვალისწინებით, პრიორიტეტულია დაწესებულებისთვის. შესაბამისად, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მზადაა ხელი შეუწყოს მის განხორციელებასა და შემდგომ განვითარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის წესდება;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- ფაკულტეტის ბიუჯეტი პროგრამების თანმხლები ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი - ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

……………

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი სისტემა PDCA ("დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე") ციკლის პრინციპით. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ხელმძღვანელობენ ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, რომელებიც გეგმავენ და მონაწილეობას იღებენ როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის, ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის, ისე საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებაში. უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის და განხორციელების შეფასების მექანიზმები თუ პროცედურები აღწერილია დოკუმენტში „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“.

დაწესებულების ხედვიდან გამომდინარე, რაც ძირითადად გაცხადებულია შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებში, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისა და მექანიზმების დაგეგმვისა და შეფასების პროცესში დაინტერესებული აქტორებისა და პირების ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების შემუშავებისა და შეფასების პროცესში დასტურდება

თვითშეფასების ჯგუფის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა. თუმცაღა, აქვე აღსანიშნავია, რომ ინტერვიუების პროცესში ნაკლებ გამოიკვეთა მათი მონაწილეობა პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავების ან განახლების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელები მეტ-ნაკლებად იცნობენ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმებს. აღნიშნულ დოკუმენტებში ფიქსირდება გასაუმჯობესებელი მხარეებიც, როგორიცაა მაგ., სწავლის შედეგებისთვის ჭარბი რაოდენობით შესაფასებელი (განმამტკიცებელი დონე) სასწავლო კურსების იდენტიფიცირება და ამ კურსებიდან შეფასების მექანიზმად რამდენიმე აქტივობის მონიშვნა. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან და ძირითადი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების სრულყოფის მიზნით, რაც მოიცავს წარმოდგენილი რუკებისა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დაზუსტება-კორექტირებას.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით დაწესებულება აქტიურად იყენებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზსა და გამოკითხვებს/სისტემურ კვლევებს. კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის დანართებში წარმოდგენილია ორივე პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, სტუდენტთა მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების, დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტები. თუმცაღა, ინტერვიუსების დროს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კვლევებისა და გამოკითხვის შედეგებს (განსაკუთრებით შრომის ბაზრის კვლევა) ნაკლებად იცნობს საუნივერსიტეტო საზოგადოება (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი). სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადოს გამოკითხვისა და კვლევის შედეგები. განსაკუთრებით, ვფიქრობთ, პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად უნდა ეცნობოდნენ ისეთ დოკუმენტს როგორიცაა შრომის ბაზრის კვლევა, რათა პროგრამაში დროულად ასახონ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნები, მაგ., საუბარია ციფრული ჰუმანიტარიისა და კომპიუტერული წიგნიერების ელემენტებით პროგრამების გაძლიერებაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგები;
- თვითშეფასების კომისიის ოქმები;
- პროგრამის შიდა შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან და ძირითადი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების სრულყოფის მიზნით, რაც მოიცავს წარმოდგენილი რუკებისა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დაზუსტება-კორექტირებას.

**კლასტერის საერთო რჩევები:** სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადოს გამოკითხვისა და კვლევის შედეგები. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად ეცნობოდნენ ისეთ დოკუმენტს როგორიცაა შრომის ბაზრის კვლევა, რათა პროგრამაში დროულად ასახონ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნები (მაგ., ციფრული ჰუმანიტარიის და კომპიუტერული წიგნიერების ელემენტებით პროგრამების გაძლიერება).

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

...............

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br>5.1 შიდა ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტებითა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება პროგრამების ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებით მიღებული შეფასებებისა და გარე, უცხოელ და ქართველ ექსპერტთა რეკომენდაციების გამოყენება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროგრამების გარე შეფასების პროცესში გათვალისწინებული და გამოყენებული იქნა ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მოხდა პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის განახლება-გაუმჯობესება.

ასევე, აღსანიშნავია, რომ კლასტერულად დაჯგუფებულმა პროგრამებმა გარე შეფასების მიზნით მიიღეს ე.წ. განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება, რაც მოიაზრებდა სხვა უსდ-ებში დასაქმებული დარგის პროფესორების მიერ პროგრამების შეფასებას. პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ გარე შემფასებელს გადაეგზავნა პროგრამა მისი სტრუქტურითა და სილაბუსებით. გარე შემფასებლის მიერ პროგრამა დადებითადაა შეფასებული (არ არის წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- კოლეგიალური შეფასების დასკვნა;

- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ინსტიტუციაში პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესისა და პროცედურების შესაბამისად, რაც აღწერილია „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების" დოკუმენტში და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის, სასწავლო და კვლევითი პროცესებისა თუ საუნივერსიტეტო სერვისების შეფასება, რაც ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზით, ყოველსემესტრული, სისტემური და საჭიროებაზე მორგებული გამოკთხვებით (სტუდენტთა, აკადემიური, მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევები და სხვ.), შრომის ბარზის კვლევით, ანალოგ პროგრამებთან შედარებითი ანალიზითა და ა.შ.

თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტებითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით დაწესებულებამ განახორციელდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. ასევე, პროგრამა შეფასდა უნივერსიტეტის ხარისხი უზრუნველყოფის სამსახურისა და დარგის წარმომადგენლი სხვა დაწესებულების პროფესორის მიერ. დამატებით შესწავლილია შრომის ბაზრის საჭიროებები და მოთხოვნები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც განახორციელა ა(ა)იპ ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანებამ, მეტწილად ზოგადი ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი ნათელ წარმოდგენას იძლევა კვლევის მიზნების, შედეგების, მისი განხორციელების მეთოდოლოგიის შესახებ, მასში ძირითადად განზოგადებითაა წარმოდგენილი შრომის ბაზრის საჭიროებები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა იმ დარგებში (ქართული, აფხაზური, ინგლისური, სლავური/რუსული,

გერმანული ფილოლოგია, ისტორია, არქეოლოგია), რომლებსაც უნივერსიტეტი ახორციელებს. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტი არ გვთავაზობს საკუთრივ ქართული და აფხაზური ფილოლოგიის პროგრამებისა და ზოგადად დარგის სიღრმისეულ კვლევას შრომის ბაზასთან და დამსაქმებელთა საჭიროებებთან მიმართებით. თუმცაღა, ის ძირითადი პოსტულატები, მიგნებები თუ რეკომენდაციები მაინც გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას შრომის ბაზრის საჭიროებებთან დაკავშირებით. სასურველია, სამომავლოდ პროგრამების განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მაქსიმალურად მიახლოების მიზნით განხორციელდეს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სიღრმისეული კვლევა.

პროგრამების მონიტორინგის პროცესში ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმია გამართული კითხვარები. გამოკითხვის კითხვარები, მით უფრო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჭრილში, როგორც არაპირდაპირი შეფასების მეთოდი და მექანიზმი. წარმოდგენილი გამოკითხვის ფორმების შესწავლამ გამოკვეთა მათი გადახედვისა და შინაარსობრივი თუ ფორმალური მხარის შეცვლის საჭიროება. უფრო კონკრეტულად კი, კითხვარებში - გამოკითხვის ფორმა სტუდენტებისთვის; სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტის მიერ; გამოკითხვის ფორმა აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის - ფიქსირდება ისეთი ხარვეზები როგორიცაა:

- კითხვათა ფორმულირებისა და შინაარსის დაზუსტების საჭიროება;
- ერთსა და იმავე კითხვაში შესაფასებლად მოქცეული 2 დებულება (მაგ., „თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა თეორიული ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას?“, “თქვენი აზრით, რამდენად მკაფიოდ არის განსაზღვრული პროგრამის მიზანი და რამდენად შეესაბამება აკადემიური ხარისხისა და შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს სამეცნიერო-პედაგოგიური მიმართულებით?”) (აღნიშნული კითხვები განთავსებულია 3-4 ქულიან სკალებზე);
- კითხვარები ფორმულირებულია დამაბნეველი ფრაზეოლოგიით (მაგ., “მიგაჩნიათ, თუ არა, რომ პროფესორ-მასწავლებლები იყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს?”);
- და სხვ.

რადგან მსგავსმა ფორმულირებებმა შესაძლოა გამოიწვიოს რესპოდენტების დაბნეულობა და მცდარი პასუხის მიღება, რეკომენდებულად მიგვაჩნია გამოკითხვის კითხვარების გადახედვა, მათი შინაარსისა და ფორმულირებების დახვეწა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება დაწესებულებაში პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესების მეტწილად გამართულობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ქართული ფილოლოგიის, აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;

- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშები
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

სასურველია, სამომავლოდ პროგრამების განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მაქსიმალურად მიახლოების მიზნით განხორციელდეს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სიღრმისეული კვლევა.

სასურველია განხორციელდეს კითხვარების გადახედვა, კითხვათა ფორმულირებისა და შინაარსის დაზუსტება.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | **შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

## პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

| პროგრამა<br><br>სტანდარტი | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან | შესაბამისია მოთხოვნებთან | შესაბამისია მოთხოვნებთან | შესაბამისია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 2 (აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან | შესაბამისია მოთხოვნებთან | შესაბამისია მოთხოვნებთან | შესაბამისია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო პოპიაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ხვთისო მამისიმედიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ქრისტინე ჩიხლაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნინო ხუბულია